ცნობის ფურცელი

№ 1851 პარასკევი, 28 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1851

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ქ. გ ო რ შ ი,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტ უ რ ი ა შ ვ ი ლ ი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ე ქ ი მ ი

ტ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

„წიგნების თური ამგამცემელი ქუთა ამხანაგობის“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამ წლის 30 ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია:

ა) წინა წლების ანგარიშების დამტკიცება; ბ) 1902 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა; გ) გამგეობის მოხსენება განსვენებულ გ. მ. წერეთელთან დადებულ პირობის შესახებ; დ) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის პირობის § 10-ს შეცვლის შესახებ; ე) გამგეობის, სარევიზიო და სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევა და ვ) ახალ წევრთა მიღება. (3—3)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. კ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

გრ. მ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო ო ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინამეიდისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

კ ბ ი ლ ე ბ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. დეპუტატმა გოტიე დეკლანიმ პალატაში წინადადება შეიტანა დერულედის და მარსელ ჰაბერის პატიების შესახებ, რომელნიც სენატის უზენაესმა სამსჯავრომ რესპუბლიკის ტერრიტორიიდან განაძევა. დერულედმა და ჰაბერმა წერილით მიჰმართეს ზღვათა მინისტრს პელტანს და მოაგონეს, რომ ოდესღაც თქვენ იმ აზრის იყავით, რომ ჩვენ წილი არ გვედო როიალისტთა შეთქმულობაშიო. ახლა, ბატონო მინისტრო, თქვენ უნდა თქვენი მოქმედება შეუთანხმოთ თქვენს რწმენას. უნდა მოსთხოვოთ თქვენ ამხანაგებს, მეტადრე იუსტიციის მინისტრს, არა თუ ჩვენი პატიება, არამედ თვით ჩვენი პროცესის ხელმეორედ განხილვა, რადგან, როგორც თქვენც აღიარებდით, ამ პროცესმა ორი პლებისციტარული რესპუბლიკის მომხრე რომელთაც სძულთ და ეზიზღებათ პარლამენტის რეჟიმი, მაგრამ თავდადებული კი არიან რესპუბლიკისთვის, როიალისტ-შეთქმულებათ გამოგვიყვანა.

გოტიემ მოითხოვა დაუყოვნებლივ განხილვა მისი წინადადებისა, მაგრამ სამინისტროს თავმჯდომარემ, კომბმა, ის აზრი გამოსთქვა, რომ გადავდოთ წინადადების განხილვა, რადგან დერულედი და მისი მეგობრები სულ იმას გაიძახიან, მტკიცედ ვდგევართ ჩვენს ძველ რწმენასაო. მთავრობას არა ჰსურს მათ ხელი შეუწყოს, რომ საფრანგეთში კვლავ გამეორდეს მყვირალა დემონსტრაციებიო. ამ სიტყვის შემდეგ პალატამ 330 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 179-სა, უარჰყო დაუყოვნებლივი განხილვა გოტიეს წინადადებისა.

მართალია, დერულედი მუდამ ამტკიცებდა, მე როიალისტი არა ვარო, და მასვე აწერენ შემდეგ სიტყვებს, რომელიც მან თურმე უთხრა ერთ ორლეანისტს ფორის დასაფლავებაზე: თუ ორლეანის პრინცი აქ, ჩვენ შორის გაჩნდა, პირველი მე წავავლებ კისერში ხელსაო, მაგრამ დღევანდელი რესპუბლიკის მშვიდობიანობისთვის დერულედი თავისი პროგრამით თუ დერულედი-ორლეანისტი, ორივე ერთგვარად საქმის ამრევი არიან. როდესაც წარსულ არჩევნებში პარიზის მუნიციპალიტეტი ნაციონალისტებმა ხელში ჩაიგდეს, დერულედმა სიხარულის და მილოცვის დეპეშა მოსწერა სენ-სებასტიანიდან (ისპანიაშია). როდესაც კი შემთხვევა ჰქონდა, ყოველთვის თავის თანაგრძნობას უცხადებდა ანტისემიტს დრიუმონს, ნაციონალისტს ლემეტრს და თვით ცნობილ გმირს გერენს, ორლეანისტს. ახლა კი იეზუიტური თავ-მოკატუნებით პელტანს სწერს, მე როიალისტი არა ვარ და დამიხსენიო.

გერმანია. ერთმა გერმანელმა კამპანიამ შეიძინა ბოსფორში, აზიის ნაპირზე, ადგილი, სადაც, „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით, გერმანელები „თავის საკუთარ ნავთსადგურს“ აგებენ. „ხაიდარ ფაშის“ პორტი რამდენსამე თვეზე მზად იქნება და გერმანელებს ნება მიეცემათ სთქვან: „ჩვენ, ბოსფორშიო“...

გაზეთი შურის თვალით უყურებს გერმანელების გამარჯვებას და კითხულობს: ამბობენ, რომ ჩვენ დიდი გავლენა გვაქვს ოსმალეთში, მაგრამ რაში გამოიხატება ეს გავლენაო? ბოსფორის დაპყრობა ჩვენი დიდი ხნის მისწრაფებაა და ჩვენ ძალიან ბევრს მივცემდით, რომ ამის განხორციელება შეგვეძლოსო. მისი უზარბაზნოთ დაპყრობა შეუძლებელი გვეგონა და გერმანელები კი ამას უთოფოდ ახერხებენო. მეორე „გამარჯვება“ გერმანელებისა, რომელიც სუვორინს ძილს უფრთხობს, შემდეგია. ანატოლიის რკინის გზის საზოგადოებას, რომლის ფირმა აშენებს ზემოხსენებულ „გერმანულ პორტს“ ბოსფორში, და ოსმალეთის სანავოსნო კომპანიის „მახსუსე“-ს შორის თურმე შეთანხმება მომხდარა. „მახსუსე“ კერძო კი არა, უფრო სახელმწიფო საზოგადოებაა, რადგან მის დირექტორად ოსმალეთის ზღვათა მინისტრია და გამგეობის წევრებათ—ფლოტის უმაღლესი აფიცრები. მისი გემები კონსტანტინეპოლიდან მიდიან მარმარილოს ზღვაში, არქიპელაგში და სირიაში. რადგან გერმანელებს სურთ, რომ სრული ბატონები გახდნენ „თავის პორტის“ და სატახტო ქალაქ შორის მიმომავალ გზებისა, ამიტომ ანატოლიის საზოგადოებამ „მახსუსეს“ კომპანიას ფული „ასესხა“ და სამაგიეროდ განსაკუთრებული უფლება შეიძინა კონსტანტინეპოლსა და ხაიდარ-ფაშის შუა რეისებისაო. უკვე ოთხი გემი შეუკვეთეს, რომლებმაც უნდა ხალხი მიიყვანონ ხოლმე იმ პორტში, რომელიც ჯერ ანატოლიის რკინის გზის დასაწყისი პუნქტია და მერე ბაღდადის რკი-

ფელეტონი

ბ-ნ ბ. იშხანიანის რეცენზიის გამო

სომხურ ჟურნალ „მურჭში“ ბ-ნს ბ. იშხანიანს დაუსტამბავს რეცენზია ჩემი ნაწერის „Das Gewerbe in Georgien“-ის შესახებ. ამ რეცენზიის უმთავრესი ნაწილი, ბ-ნ კლდიას მიერ თარგმნილი, დაბეჭდა „ცნობის ფურცელმა“ (№ 1845) და გააცნო ქართველ საზოგადოებასაც.

საზოგადოდ რეცენზიებზე პასუხის ძლევა ავტორთაგან მიღებული არაა. მეც არც ერთზე იმ რეცენზია-შენიშვნათაგან, რომლებიც დაიბეჭდა ხსენებულ ნაწერის გამო ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე, პასუხი არ გამიცია. მაგრამ ეს წესი უნდა დავარღვიო სომეხ რეცენზენტის ბ-ნ იშხანიანის მიმართ. ეს უკანასკნელი თავის რეცენზიაში ზოგიერთს ისეთ საგანს ეხება და იმნაირად, რომ მის გამო ორიოდე სიტყვის თქმა საჭიროდ მიმაჩნია.

ბ-ნი იშხანიანი ბრალად მდებს ტენდენციობას. ეს ჩემი ტენდენციობა იქიდან წარმოსდგება, რომ მე თურმე დიდი მეგობარი ვარ ქართველების და ასეთივე დიდი მოძულე და მტერი სომხების. ამიტომ სომხების შესახებ ყალბი აზრები მაქვს თურმე შედგენილი და „სამეცნიერო თხზულებაში საერო ვიწრო ანგარიშები“ შერეული. ერთი სიტყვით მბრალდება მიკერძველობითი მსჯელობა: ქართველების ქება, ხოლო სომხების უსაფუძვლოდ ძაგება, მათი სიძულვილი და მტრობა. მბრალდება შოვინისტობა. ყველაფერი, რასაც ბრალად მდებს, ბ-ნს იშხანიანს ჩემ წიგნში დაუნახავს, იქიდან ამოუკითხავს. ბრალდება, როგორც ხედავთ, მძიმე და ძნელად სატვირთებელია.

„უცილობლად ცხადი ჭეშმარიტებაა,—სწერს ბ-ნი იშხანიანი,—რომ ყოველი სამეცნიერო თემა სრულიად შორს უნდა იყვეს ამოჩემებულ ტენდენციასა, წინასწარ განზრახვას და მეცნიერებრივის მიუკერძველობით შეუდგეს საძიებელ საგანსა. ქართველი ავტორი-კი (ე. ი. მე) გამსჭვალულია ქართველთა უზომო მეგობრობით“...

„უცილობლად ცხადი ჭეშმარიტებაა,—ვიტყვი მეც ბ-ნ იშხანიანის სიტყვებით,—რასაც იგი აქ ბრძანებს: სამეცნიერო თემა და კამოკვლევა შორს უნდა იყოს „ამოჩემებულ ტენდენციებისაგან“. ისიც ჭეშმარიტად გამოუცვნია ჩემ ბრალმდებელს, რომ მე ქართველების უფრო მეგობარი ვარ, ვინემ მტერი... აქ მას სრულიად ვეთანხმები. მხოლოდ ვერ დავეთანხმები იმაში, რომ ვითომ „მეგობრობა“ საკუთარ ერისადმი უეჭველად ხელის შემშლელი იყოს მასზე სწორე და მიუდგომელი მსჯელობისათვის. საქმე იმაშია, თუ ვინ როგორი მეგობარია და ვის როგორ ესმის მეგობრობა. არის მეგობარი, რომელიც თავის ერზე კარგსაც იტყვის და ავსაც, რაც კი სინამდვილეს და ჭეშმარიტებას შეესაბამება. სამაგიეროდ არის ისეთიც, რომელიც მხოლოდ კარგს და საქებარს გამოამჟღავნებს, ხოლო თავისი ერის ცუდ და დასაგმობ მხარეებს დამალავს, ხელს დააფარებს. ალბად, ბ-ნ იშხანიანს ქართველების იმგვარ მეგობრად მივაჩნივარ, რომელიც ქართველების სიბეჩავეს და სიგლახაკეს არ ამხელს, ხოლო სიკარგეს მთელ ევროპაში ჰფენს და ავრცელებს.

როცა სომეხ რეცენზენტის ზემოდ აღნიშნულ სიტყვებს წაიკითხავს კაცი, უეჭველად გულში გაივლებს, რომ ფარსაგი საქებარი და სასახელო რამე მითქვამს საქართველოსა და ქართველების შესახებ. მითქვამს გერმანელებისთვის ისეთი ამბავი, რომელიც სახელს და დიდებას უხვეჭს ჩვენს ქვეყანას და ხალხს და სინამდვილეს-კი არ შეესაბამება. ნეტა რა უნდა იყოს ასეთი ამბავი?

რა და,—როცა საქართველოს შესახებ მოკლე გეოგრაფიულ ცნობებს ვაძლევ გერმანელ მკითხველს,—ვიხსენიებ გაკვრით, რომ საქართველოს ბუნება ლამაზი არის-მეთქი. აგრეთვე ქართველების შესახებ ნათქვამი მაქვს, რომ მათ ისტორიაში შესამჩნევი ძალა და ენერგია გამოიჩინეს და, მიუხედავად მუდამ მტრებთან ბრძოლისა, თავისი არსებობის დაცვა შესძლეს-მეთქი.

ეს არის ის უშველებელი ამბავი, რომელსაც იხსენიებს საბუთად ბ-ნი იშხანიანი და რომელიც უნდა ამტკიცებდეს ჩემ მიკერძვით მსჯელობას ქართველების შესახებ. ვითომ თავმდაბლობაც ვიხმარე: ის ადგილი, რომელიც საქართველოს ბუნებას და ქართველების ისტორიულ როლს შეეხება, ერთი გერმანული წიგნიდან ამოვიღე ფრჩხილებში ჩასმით და წყაროს ჩვენებით ჩემ ნაწერში შევიტანე. ვიპოვნე ნეიტრალი კაცი, გერმანელი, რომელიც ქართველების არც მტერია, არც მოყვარე, და მისი სიტყვებით ვთქვი, რის თქმაც მინდოდა, რომ უცხოელ, ჩვენი ქვეყნის და ისტორიის არ-მცოდნე მკითხველს ეჭვი არ აღძვროდა და არ ეფიქრა, მიკერძვით ლაპარაკობსო. მაგრამ, როგორც ხედავთ, ბ-ნი იშხანიანი ამითაც ვერ დავაკმაყოფილე. აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამისთანა რამეს საეჭვოდ და სადავოდ გამიხდიდა განათლებული სომეხი, რომელსაც, მგონია, ნახული უნდა ჰქონდეს ჩვენი ქვეყანა და ცოტა რამ გაგონილი მის მკვიდრთა ისტორიიდანაც. მეტად უცნაური ფანტაზიის პატრონი უნდა იყოს კაცი და სრულებით არ უნდა იცნობდეს საქართველოს არც ბუნებას და არც ისტორიას, რომ ამ ბუნების სილამაზისა და ქართველი ხალხის მიერ ისტორიაში დამტკიცებულ ენერგიის მომხსენებელს მიკერძება და მხოლოდ თავის მოსაწონად ლაპარაკი დასწამოს.

ნის გზისაც შეიქნებაო. ხმა დადის, რომ „მახსუსე" შემდეგში ყველა თავის რეისებს გერმანელებს დაუთმობსო და ამ გვარათ მათ ხელში ექნებათ მთელი მიმოსვლა ზღვის ნაპირთა შორის კონსტანტინეპოლის სამხრეთითო. გაზეთი ასე ათავებს თავის გოდებას: „ამბობენ, რომ გერმანელთა ასეთ გამარჯვებას ვერ დავუშლით, რადგან ამ საქმეში პოლიტიკური არაფერი ურევიაო. კარგი, მაგრამ თუ მათ ვერ დავუშლით, რომ ოსმალეთის იმპერია გერმანელების ხელში არ გადავიდეს, ის მაინც შეიძლება, რომ ჩვენც რამე გვერგოს?

ნეტა როდის მოეღება ბოლო სუვორინის მათხოვრობას?

ინგლისი. ამ ჟამად ინგლისში ბჭობა აქვთ ავტონომიურ კოლონიათა პირველ მინისტრებს. ამ ბჭობაში მონაწილეობას იღებენ: კოლონიების მინისტრი ჩემბერლენი, ვილფრიდ ლორიე (კანადისა), ბარტონი (ავსტრალიისა), ჯონ სედდონი (ახალი ზელანდიისა), გორდონ სპრიგგი (კაპის კოლონიისა), ალბერტ გიმი (ნატალისა) და რობერტ ბონდი (ნიუფაუნდლენდისა). ბჭობენ საიდუმლოდ და გაზეთებს შეძლება არა აქვთ რამე ცნობები მიაწოდონ საზოგადოებას.

შეერთებული შტატები. ფილიპეს კუნძულებზე თან-და-თან მყარდება მშვიდობიანობა. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა პროკლამაციის გამოცემა, რომელიც ტყვეებს სრულ ამნისტიას მიანიჭებს, სხვათა შორის თვით აგვინალდოსაც. პროკლამაცია უნდა გამოსულიყო 4 ივლისს ახალი სტილით, იმ დღეს, რა დღესაც შეერთებული შტატები განთავისუფლდნენ. კათოლიკეთა სამღვდელოების შესახებ რუზველტმა შემდეგი წინადადება მისცა ვატიკანს: ამერიკის მთავრობა, როგორც ესპანიის მემკვიდრე, მზადაა ყველა საყდრები და მონასტრები გადასცეს ვატიკანს. მონასტრების უძრავ ქონებათა დაფასება, რომელნიც უნდა სახელმწიფოს დაეთმოს, მიენდობა ცალკე კომისიას, რომელშიაც იქნება თითო-თითო წარმომადგენელი ყოველი შტატისა და ერთიც პაპისა. თავის მხრივ ამერიკის მთავრობა ითხოვს, რომ ყველა სასულიერო წოდების ესპანიელნი წაიყვანონ კუნძულებიდან და შემდეგში აღარც ერთი ესპანელი სამღვდელო აღარ დაინიშნოს. სხვა მხრივ-კი პაპი სრული თავისუფალია. ვინც სურდეს, ის დაინიშნოს სასულიერო ადგილებზე.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის ქალაქის **გამგეობის მეოთხე წევრად ბ-ნმა გუბერნატორმა დაამტკიცა ბ ნი კოკჩაევი.** როგორ ვუწყით, საბჭომ ამ თანამდებობაზე სამი კანდიდატი წარადგინა: სანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი სტეფანოვი, კოკჩაევი და სვეშნიკოვი.

✦ 27 ივნისს, ღამე, ტფილისში **გარდაიცვალა გენერალი თავადი არჩილ გულბათის ძე ჭავჭავაძე**, რომელიც ეხლახან დაინიშნა კავალერიის დივიზიის უფროსად.

✦ პირველ ივლისს სოჭაში მოელიან მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა **მინისტრს**.

✦ 25 ივნისს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი აღიძრა **სასტატისტიკო ბიუროს** მოქმედების შესახებ. ამ საგნის გამო ისე გამწვავდა კამათი, რომ სხდომამ ნაშუაღამევის 1 საათამდე გასტანა. კამათი გამოიწვია საბჭოს ზოგიერთ წევრის განცხადებამ, რომ სასტატისტიკო ბიუროს ახალი პროგრამა არ უნდა შეედგინა, არამედ ეხელმძღვანელნა ძველის პროგრამითაო. ამას გარდა სთქვეს, რომ კომიტეტი კუს ნაბიჯით მიდის წინ და აქამდე არ შესდგომია შემუშავებულ პროგრამის თანახმად სასტატისტიკო ცნობების შეკრებას და სხვაო. დიდის ხნის კამათის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა, დაავალოს კომიტეტს შეუდგეს ეხლავე მოქმედებას და სასტატისტიკო ცნობების შეკრებას.

✦ როგორც შევიტყეთ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **სასტატისტიკო კომიტეტის** თავმჯდომარეს ან. ნიკ. ფურცელაძეს თანამდებობისათვის თავი დაუნებებია.

არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ კომიტეტის წევრთა შორის რაღაც უთანხმოების გამო საქმე ცოტა არ იყოს შეფერხებულია.

✦ „კავკაზს" ატყობინებენ, რომ ქალაქ ტფილისის თვითმმართველობას აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისში (ავლაბარში) **დაარსდეს საშუალო რვაკლასიანი სამექანიკო-სატეხნიკო სასწავლებელი** სამთო-საქარხნო განყოფილებით. ეს შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობას საერო განათლების სამინისტროსათვის უცნობებია.

✦ იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ქალაქ ტფილისის თვითმმართველობის შუამდგომლობა **პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ ტფილისში** სამთო და სასოფლო-სამეურნეო განყოფილებებით, აგრეთვე შუამდგომლობა, პოლიტეხნიკუმის შენობის ასაგებად და შესანახად შემოწირულებათა შეკრების ნება-რთვის შესახებ, მიწათ-მოქმედების და შინაგან საქმეთა სამინისტროებს არ შეუწყნარებიათ.

✦ ოთხშაბათს, 26 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა საჯარო **ვაჭრობა** იმსოფლის მამულების გასასყიდად, რომლებზედაც გაცემული იყო გრძელ-ვადიანი სესხი. გასასყიდი იყო 9 მამული, გაიყიდა 4. ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება 13 ივლისს. 4 გაყიდულ მამულზე თავნი ვალი იყო 8574 მან. 80 კაპ., შესატანი გადასახადი 402 მან. 94 კაპ., გაიყიდა 10,174 მანეთად. დღეს, 28 ივნისს, 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სოფლის იმ მამულების გასასყიდად, რომლებზედაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.

✦ შაბათს, 22 ივნისს, ტფილისის საკრედიტო ბანკში დაიწყო **საჯარო ვაჭრობა** ბანკში დაგირავებულ იმ მამულებისა, რომელთა პატრონებმაც დროზე გადასახადი ვერ შეიტანეს. გასასყიდი იყო 37 მამული, აქედან 22 ივნისს გაიყიდა 28 მამული, ხოლო 26 ივნისს 6 მამული. დარჩა სამი მამული, რომელთა გასასყიდადაც ვაჭრობა მოხდება დღეს, 28 ივნისს. გაყიდულ მამულების თავნი ვალი იყო 207,855 მან. 85 კაპ., შესატანი გადასახადი—10,042 მან. 19 კაპ., ხოლო გაიყიდა 297,103 მანეთად.

✦ მოკლე დროში ტფილისიდან მიდის ბ-ნი **დე სენ სოვერი**, საფრანგეთის ვიცე-კონსული, რომელიც დაინიშნა ამავე თანამდებობაზე ოდესაში, რადგან ტფილისში ეს ადგილი გაუქმებულ იქმნა.

ბ-ნმა დე სენ სოვერმა და მისმა მეუღლემ მალე დაიმსახურეს ჩვენ ქალაქში სიყვარული, როგორც ფრანგების შორის, ისე ტფილისის საზოგადოებაში. ის გარემოება, რომ ყველასაგან ცნობილნი იყვნენ და ბევრი სცემდა პატივს, საუკეთესოდ ამტკიცებს მათ წარჩინებულებასა და სრულს დარბაისლობას. ყველას, ვინც კი იმათ იცნობდა, მეტად სამწუხაროდ დარჩება მათი მოშორება.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ორის წლის წინად ეგრედ წოდებულმა **ჰოტენტოტურმა ბალლინჯომ** მთლად გაანადგურა ახალ-ქალაქის მაზრაში ორმოც სოფლის ნათესი. ამ ბალლინჯოსთან საბრძოლველ საშუალებათა შემუშავება მიენდო აგრონომს ბ-ნ სააკოვს. ბ-ნ სააკოვს აღმოუჩენია ერთგვარი მწერი, რომელიც სპობს ბალლინჯოს კვერცხებს. ამის შესახებ სააკოვს მოხსენება წაუკითხავს ორის თვის წინად პეტერბურგის ენტომოლოგიურ საზოგადოებაში და რადგანაც ეს მწერი საუკეთესო საშუალებად უცვნიათ ბალლინჯოსთან საბრძოლველად, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მიანდო თურმე ბ-ნს სააკოვს ახალქალაქის მაზრაში ამ მწერის მოშენება. ბ-ნი სააკოვი ამ დღეებში მიემგზავრება ახალქალაქის მაზრაში.

✦ თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოწერილობისა, ტფილისის გუბერნატორმა დაავალა პოლიცმეისტერს და პოლიციის მოხელეთ თვალ-ყური ადევნონ, რომ რვა საათის შემდეგ მუშტაიდის ბაღში **ტფილისის სასწავლებლების მოსწავლენი აღარ იყვნენ ხოლმე.**

✦ ტფილისის ქალაქის ტეხნიკოსმა მელიქ ბეგლიაროვმა გუშინ წერილობით სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ **ნაძალადევში**, რადგანაც იგი დღითი-დღე იზრდება და მცხოვრებთა რიცხვიც მატულობს იქ, განსაკუთრებული ტეხნიკოსი დანიშნოს.

✦ რადგანაც ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალევი საზაფხულოდ დათხოვნილია, იმის თანამდებობას ასრულებს დროებით მისი თანაშემწე **თ. ერისთავი.**

✦ პირველ მკათათვიდან დილისტნის ოლქში შემოღებული იქნება **სახელმწიფო მონოპოლია სასმელებზე.** ამასთანავე დააწესებენ ნიხრს ღვინოსა და არაყზე.

✦ 27 ივნისს ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას ქალაქის ორ **სამკურნალო სადგომის** უვარგისობის შესახებ. ამასთან ინსპექტორმა სთხოვა გამგეობას, ტეხნიკოსთა კომისია იქმნეს დანიშნული, რომ სასანიტარო-სამკურნალო საბჭოსთან შემოწმოს შენობები და შეუდგეს იმათ შეკეთებას.

✦ ამ დღეებში, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, სხდომა მოხდა, რომელზედაც ლაპარაკი ჰქონდათ იმის შესახებ, მიეცეთ თუ არა ნება მთხოვნელებს, რომ **ავტომობილები ამოძრაონ** გზა-ტკეცილებზე (**შოსსეზე**). თათბირმა ამ საგნის გამო დიდხანს გასტანა, ბოლოს ის აზრი გამოითქვა, რომ ავტომობილების მოძრაობა გზებზე მოუხერხებელია, რადგანაც მუდამ დადიან ეტლები, ურმები, ფურგუნები და სხვ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ტატლუდან იუწყებიან, რომ 26 ივნისს საქონლის მატარებელი № 188 გაჩერეს. 381 ვერსზე, ტატლუსა და აღსტაფას შუა აღმოჩნდა, რომ ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი თავს დასცემოდნენ გზის დარაჯებს და დაეკოჭნათ ისინი, რადგანაც მატარებელი ამ ადგილს მოახლოვებოდა. ბოროტ-გამზრახველნი გაქცეულან.

✦ ოთხშაბათს, 3 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე დახურულ ბაზრის დანგრევა-აღების შესახებ. დახურულ ბაზრის აღებაზედ ლაპარაკი აღძრა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ. საქმემ მიაღწია მომრიგებელ მოსამართლესთან, რომელმაც, ტეხნიკოსთა შემოწმების შემდეგ, გადასწყვიტა აღნიშნულ სადგომის დანგრევა და აღება. პატრონებმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ოლქის სასამართლოში.

✦ გუშინ, 27 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო

ბ ნი იშხანიანი პირ-და-პირ ამბობს, რომ „ქართველ ავტორს (ე. ი. მე) უმეტესად თავი მოსწონს, როცა გადადის ქართველთა ხალხის საისტორიო როლის განსაზღვრაზეო". არ ვიცი, საიდან გაიგო მან, თუ მე სად და რით მომწონს თავი. ამაზე არც არა დამიწერია-რა და არც რამე მითქვამს დაფარულ აზრ-განზრახვათა მძებნელ რეცენზენტისთვის.

სზაოგადოდ ბ-ნ იშხანიანს ჰყვარებია სხვის გულში ხელის ფათური და იქ დაფარულ განზრახვათა „აღმოჩენა". ერთი მისი ასეთი „აღმოჩენა" გახლავთ ის, რომ მე თურმე გამსჭვალული ვარ „სომეხთა მიმართ მტრობით". ასე გაშინჯეთ, ჩემი „ფერიც" კი გამოუცვნია. იგი სწერს: „საქართველოს აწინდელ შეგნებულ ძალთა და ჟურნალ-გაზეთების თაობაზე აზრის მქონელი ადამიანი შესავლის ორი გვერდის წაკითხვის შემდგომაც ადვილად გამოიცნობს ავტორის ფერსა, რომელიც ქართველთა ინტელიგენციის ერთ ნაწილსა აქვს კავკასიის სომეხთა მიმართ".

სწორედ გულთმისანი ყოფილა ბ-ნი იშხანიანი. ჩემი ნაწერის შესავალშივე გამოიცნო მან ჩემი აზრი სომხების შესახებ. ეს არის აზრი ქართველ ინტელიგენციის ერთი ნაწილისა, ე. ი. აზრი, რა თქმა უნდა, ყალბი და ცუდი. ვთქვათ, იგი აზრი მართლა ყალბია, მაგრამ გამაშტერებელი ამბავი ის არის, რომ ბ-ნს იშხანიანს ეს წიგნის შესავალშივე გამოუცვნია, იმ შესავალში, რომელშიაც სომხებზე ერთი კრინტი არა მაქვს დაძრული! აი, ნახეთ და თვითონვე გაიკვირვეთ, თუ როგორი უცნაური მოსაზრებით მისულა ბატონი რეცენზენტი თავის დასკვნამდე.

შესავალში მოხსენებული მაქვს ის სახელები, რომლებსაც უწოდებენ საქართველოს ევროპიელები, სპარსელები, თათრები და რუსები. ევროპიული სახელების მოხსენება საჭირო იყო იმიტომ, რომ მკითხველს წარმოდგენა გაადვილებოდა. შეიძლება გერმანელს არაფერი წაეკითხოს საქართველოს შესახებ გერმანულად, მაგრამ წაეკითხოს ფრანგულად, ან ინგლისურად. საქართველოს სახელის იმ ენებზედაც ხსენება გაუადვილებს მას მოგონებას. და, გარდა ამისა, ზოგიერთ სხვა მოსაზრებითაც საჭიროდ დავინახე ევროპის სხვა-და სხვა ხალხთაგან ხმარებული სახელწოდებანი ჩვენს შესახებ მომეხსენებია. საჭირო იყო რუსული სახელწოდების აღნიშვნა, რადგან გერმანიაში რუსული ენის გავლენით საქართველოს ხშირად „გრუზიენ"ს ეძახიან. ზოგიერთი ავტორები რუსულ „გრუზიას" „გურჯი" და „გურჯისტანიდან" გადმომახინჯებულად სთვლიან, მაშასადამე, მთლად ზედმეტი არ იყო სპარსულ და თათრულ სახელწოდებათა მოხსენებაც. მაგრამ რა საჭიროა ეს განმარტება? ვთქვათ, სრულიად ზედმეტად და უადგილოდ აღვნიშნე საქართველოს სხვა-და-სხვა სახელწოდებანი. მერე აქედან როგორ უნდა დაასკვნას კაცმა, რომ „ქართველი ავტორი" სომხების მოძულე და მტერია? უცნაურად გეჩვენებათ, განა? ბ-ნ იშხანიანისთვის ეს უცნაურობა არაა. მან იფიქრა: ავტორმა ჩამოთვალა რამდენიმე სახელწოდება, რომელსაც სხვა-და სხვა ხალხები ხმარობენ საქართველოს სახელად. არ მოიხსენია სომხებისგან ხმარებული სახელი. რადა? „უთუოდ—უმატებს იგი ნაწყენი კილოთი—საჭიროდ არ მიაჩნია დოქტორ გოგიჩაიშვილს დაარქვას (საქართველოს) „ვრასტან", რომელსაც სომხები ეძახიან." ცხადია, „ქართველი ავტორი" განსაკუთრებულ „ფერის" და აზრისაა სომხების შესახებ და ეკუთვნის ქართველ ინტელიგენციის იმ ჯგუფს, რომელსაც სომეხი „შხამიან ეკალსავით ეჩხირება თვალში". ნუღარ იტყვით,—ლოღიკა საუცხოვოა. არ მომიხსენებია, რას უწოდებენ საქართველოს ლეკები, პოლონელები, ჩეხები, შვედები,—მაშასადამე, ყველა ამათი მოძულე და დაუძინებელი მტერი ვყოფილვართ. ასეთი მსჯელობა,—ბ-ნი იშხანიანი ნუ გაგვიწყრება და,—მგონი, ულოღიკობად იწოდების.

მაგრამ ჩვენთვის ეს ულოღიკობა იმდენად საინტერესო არაა, რამდენადაც ის სურვილი, რომლის გამოც სომეხი რეცენზენტი ხელს იღებს ლოღიკაზე. მას, როგორც ეტყობა, საჭიროდ მიაჩნია, რომ მე მომეხსენებია სახელწოდება „ვრასტან", რომელსაც სომხები საქართველოს ეძახიან. თუ რისთვის უნდა ყოფილიყო ეს საჭირო, ამის შეგნება, უნდა გამოვტყდე, ვერ მომიხერხებია. ალბად თვითონ რეცენზიის დამწერმა იცის, მაგრამ, სამწუხაროდ, არ აცხადებს თავის ცოდნას, ასე რომ ჩვენ იძულებული ვართ მისი მოთხოვნა მეტად გაბერილ პრეტენზიად ჩავთვალოთ. პრეტენზიაა, მა რა არის: კაცი შეურაცხყოფილის კილოთი თხოულობდეს, რომ იქ, სადაც შენ სახელს აცხადებ, არ უნდა დაივიწყო და უნდა სთქვა, სომხურად რას გიწოდებთო! ტყუილად დაუწყებთ კითხვას, თუ ეს რისთვის მაინც-და-მაინც „უნდა". იწყენს ასეთ შეკითხვას:—მაშ ჩვენ მხედველობაში მისაღები არ ვყოფილვართ? მაშ არაფრად გვაგდებთ, გვერდს გვიხვევთ, quantité négligeable-ად გვთვლით? ჩვენც ხომ ვიცით თქვენი სახელი. განა იგი თქვენი ყურადღების და მოხსენების ღირსი არაა? განა ჩვენ, ჩვენ... და ასე,—წავა და წავა... თუ სანამდი ივლის ასეთი თავ-მომწონე კაცი და რამდენ რამეებს „აღმოაჩენს" გზა-და გზა, ამის გამოცნობა თქვენთვის მომინდვია. ხოლო მე ასეთი „აღმოჩენის" ნიმუში ბ-ნმა იშხანიანმა უკვე მაჩვენა და ამით თავის უცნაურობაშიაც დამარწმუნა. თურმე დიდი დანაშაულობა ჩამიდენია, დანაშაულობა, გამოწვეული ტენდენციით დამეცნიერული არაკეთილ სინიდისიერებით, რომ ისეთი საყურადღებო გარემოება, როგორიც არის სომხების მიერ საქართველოს სახელის ცოდნა და თვით სახელი „ვრასტან", მხედველობიდან გამიშვია და არ მომიხსენებია.

ასეთ საფუძველზე ამყარებს ბ-ნი იშხანიანი თავის ღრმა-მნიშვნელოვან დასკვნას. და რაღა გასაკვირველია ამას შემდეგ, რომ იქ, სადაც მე ერთი კატეგორიის სომხების შესახებ მაინცა-და-მაინც არა საქებარ ფაქტს აღვნიშნავ, მის წყენას ზომა არა ჰქონდეს და მის წყრომას საზღვარი. აქ იგი „ცხადად" ჰხედავს „გულის წყრომით სავსე სიძულვილს, რომელსაც დაუზოგველად ანთხევს ქართველი ავტორი სომხების თავსა". ეს ცოტა მაგრად და გადაჭარბებულადაც არის ნათქვამი. მაგრამ ამ ნათქვამში სიმართლის ნაწილი

საქმე ვ. მ. ტაბლიაშვილისა, რომელსაც ჰბრალად ედება გიმნაზიის მოსწავლე-ქალის ევგ. როდიონოვის თავს დაცემა და მოკვლის განზრახვა. რადგანაც სასამართლოში მოწმე შახნაზაროვი არ გამოცხადდა, ტაბლიაშვილის ვექილის თავ. ი. ბარათაშვილის თხოვნით, სასამართლომ საქმის გარჩევა შემდეგისთვის გადასდო.

✦ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის ადმინისტრაციას აზრადა აქვს ამ სასწავლებლის მოსწავლენი წაიყვანოს ყარსისა და ერევნის გზებისა და ალავერდის სპილენძის მადნების დასათვალიერებლად.

✦ ტფილისის გადამდებ სენით საავადმყოფოში 17 დან 24 ივნისამდე ყვავილით ავად გამხდარა 2 კაცი, დიფტერიტით 3. თავისუფალი ადგილი ამ ჟამად 25-ია.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში გუშინ-წინ უნახავთ მტკვრის პირად ვილაც დამხრჩვალის კაცის გვამი. გამოძიებით გამოირკვა, რომ მტკვარში ბანაობის დროს სამკურნალოსთან დაიხრჩო ერთი ვილაც კაცი. ვინაობა ამ კაცისა ვერ გაიგეს. გვამი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ 26 ივნისს, პოლიციაში ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელმა ი. ი. კიაროვსკიმ განაცხადა, რომ კისლოვოდსკში მიმავალმა გზად ტფილისში შემოუხვიე და „ტილიპუტურის“ რესტორანში ჩაველი, სადაც პურის ჭამის შემდეგ მიმძინებოდაო. როცა გამომეღვიძა, ვნახე, რომ ვილაც ბოროტ-განმზრახველს ჯიბიდან 65 მან. ამოეცალაო.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს კანონიერად უცვნია საქალაქო არჩევნებზე შეტანილი საჩივრის ის მუხლი, სადაც ნათქვამია, არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი პირნი, რომელნიც სამართალ ქვეშ იმყოფებიანო. რადგან ასეთ პირთ ცამეტი ხმა ჰქონიათ, ამიტომ გუბერნიის საკრებულოს დაუდგენია ეს ცამეტი ხმა გამოაკლდეს ხმოსნებად არჩეულ პირთა თეთრ კენჭებს; ის პირნი კი, რომელთაც საარჩევნო კანონის წინააღმდეგ მონაწილეობა მიუღიათ არჩევნებში, პასუხის გებაში იქმნენ მიცემული. ამგვარად ქუთაისის ისედაც რიცხვ-მცირე ქალაქის საბჭოს კიდევ აკლდება 10 ხმოსანი, რომელნიც ცამეტ ხმაზე ნაკლებით გათეთრდნენ. ესენი არიან: 1) ს. პ. ფირალოვი (რომელიც გავიდა ერთი ხმის უმეტესობით) 2) ს. უ. ბარქაია (3 ხმით), ა. გ. ახვლედიანი (4 ხმით), 4) ვ. ი. პეტრიაშვილი (4 ხმით), 5) ს. დ. ჯაფარიძე (6 ხმით), 6) ი. დ. აბზიანიძე (8 ხმით), 7) თ. ი. ნ. ნიჟარაძე (9 ხმით), 8) ი. პ. ჯაიანი (10 ხმით), 9) ი. დ. ბუკუჩავა (12 ხმით) და 10) ვ. პ. კოკოჩაშვილი (უკანასკნელი თუმცა 87 ხმის უმეტესობით გათეთრდა, მაგრამ ისეთი პირისაგან ჰქონია გადმოცემული ვექილობა, რომელიც პასუხის გებაში ყოფილა მიცემული)

ამგვარად მომავალ ახალ საბჭოს ეყოლება სულ 49 ხმოსანი.

რუსეთის ქრონიკა

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრო სახელმწიფო საბჭოსაგან თხოულობს 100 ათას მანეთის გადადებას გლეხთა შორის გაუმჯობესებულ თესლის გასავრცელებლად.

✦ აზრადა აქვთ ჩრდილოეთ-დასავლეთ გუბერნიებში შემოიღონ საერობო დაწესებულებანი. ამ საქმის შესახებ კანონ-პროექტის განხილვას უკვე შეუდგა სახელმწიფო საბჭოს ეკონომიისა და კანონების დეპარტამენტი. სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრება ამ კანონ-პროექტს განიხილავს შემოდგომის სესსიის დროს.

✦ საბეითალო გამგეობასთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებადაც არიან წარმომადგენელნი: საბეითალო ადმინისტრაციისა, მიწათ-მოქმედებისა, ფინანსთა და გზათა სამინისტროებისა და სახელმწიფო კონტროლისა. კომისიამ უნდა დაწვრილებით გადასინჯოს აწ არსებული წესები საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვისა რკინის გზებსა, ზღვა-მდინარეებსა, გზა-ტკეცილებსა და სხვა გზებზე. კომისია განიხილავს ამასთანავე იმ წესებს, რომელიც საბეითალო-სასანიტარო ზედამხედველობას შეეხება.

✦ ახლა-ხან სმოლენსკის გუბერნიაში, ლომონოსოვის მამულში, შემთხვევით უპოვნიათ საინტერესო ხელთ-ნაწერი—დღიური გენერალ თავ. ბაგრატიონისა, რომელმაც 1812 წელს ნაპოლეონთან ბრძოლის დროს დიდად ისახელა თავი.

პრესსა

ამ დღეებში უბედურება დატრიალდა პეტერბურგ-ვარშავის რკინის გზაზე: მატარებელი ლიანდაგს გადასცდა, ვაგონი დაიმსხვრა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. როგორც რიგი იყო, ამის გამო ალაპარაკდა საზოგადოებაცა და მწერლობაც. რა იყო ან ვინ იყო უბედურების მიზეზი? აი საკითხი, რომელიც ყველას აღელვებს ამგვარ შემთხვევების დროს. გამოძიება, ალბად, აღმოაჩენს ამ მიზეზს და დამნაშავეს, საზოგადოება და პრესსა კი ყველაფერში დამნაშავედ სთვლის ვარშავ-პეტერბურგის რკინის გზის უმაღლეს ადმინისტრაციას. ამბობენ, შპალები ლიანდაგზე დამპალი იყოო, რაც რკინის გზის ინჟინერებმა იცოდნენო, ამბობენ, ინჟინერ მმართველთა შორის კინკლაობა იყო და გზა უყურადღებოდ იყო მიტოვებულიო და სხვ. აი, რა უცნაურ გარემოებებს აღგვიწერს გაზეთი „ბირჟევ. ვედომსტ.“-ი:

როდესაც პეტერბურგში ცნობა მოვიდა უბედურების შესახებ, მაშინვე სასანიტარო ვაგონი გაგზავნეს; მაგრამ ეს ვაგონი შეაჩერეს სადგურ პრეობრაჟენსკაიაზე. აღმოჩნდა, რომ უბედურების ადგილზე წასულიყო რკინის გზის უფროსი ინჟინერი ჩაქული და სადგურის უფროსმა შეაჩერა სასანიტარო ვაგონი, სანამ რკინის გზის უფროსის ვაგონი არ დაბრუნდებოდა. ბევრს ეხვეწნენ ექიმებიც, მგზავრებიც. ბევრი იჩიჩინეს—დაჭრილ-დაშავებულთ დახმარება სჭირიაო, მაგრამ სადგურის უფროსი უარზე იდგა: ამგვარად სასანიტარო ვაგონი თითქმის ერთ საათს იდგა სადგურზე, მაშინ როდესაც იქ დაჭრილები უპატრონოდ იყვნენ. ერთხელ კიდევ მისცვივდნენ სადგურის უფროსს და მოსთხოვეს ვაგონის გაშვება.

— არ შეიძლება, ჩვენ ვუცდით გზის უფროსის დაბრუნებას.

— ის არა სჯობია უფროსის მატარებელმა მოიცადოს ცოტათი, ოღონ სანიტარები მივიდნენ მალე?

— აბა, მაგას რასა ბრძანებთ, ეგ როგორ შეიძლება?!

ბოლოს ამ საქმეში ჩაერიუნენ ჟანდარმები და მათ დაიყოლიეს სადგურის უფროსი... სანამ ეს კინკლაობა იყო, უბედურების ადგილზე საშინელის ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა გლეხი ეფიმოვი და იტანჯებოდნენ სხვა დაშავებულნიც!.

განა საკითხავია, რომელი იყო უმჯობესი: პატარა ხნით შეეჩერებინათ რკინის გზის უფროსის მატარებელი, თუ დროზე გაეშვათ სასანიტარო ვაგონი, რომელიც დაჭრილთა დახმარებას ეშურებოდა?.

გარდა ამისა, ჩვენ გავიგეთ, რომ ერთი კვირის წინად, ვიდრე უბედურება დატრიალდებოდა, რკინის გზის მმართველობის ერთი ნაწილის უფროსი ატყობინებდა, ვისაც ჯერ არს, რომ პრეობრაჟენსკაიასა და მშინსკაიას შუა გზა გაფუჭებულია და უნდა გასწორდესო; გაგზავნეს კომისია, რომელსაც სათავეში თვით გზის უფროსი ედგა, მაგრამ კომისიამ განაცხადა, ყველაფერი კარგად არისო და შეკეთება არაფერს არა სჭირიაო! კიდევ ბევრ სხვასაც ამბობენ; ამბობენ, მაგალითად, რომ მმართველთ ერთმანეთში კინკლაობა აქვთ!

რაღა გასაკვირველია, რომ სადაც ასეთი უწესოება ჰსუფევს, იქ უბედურებაც ხშირი იქნება.

დაბა-სოფლები

სოფ. ქვიშხეთი (გორის მაზრა). რამდენიმე წელიწადია, რაც ქვიშხეთსა და წადგერში მთავრობამ სამრევლო სკოლა დაარსა, მაგრამ დღემდე ეს სკოლა მასწავლებელს ვერ ეღირსა. მიზეზი მასწავლებლის დაუნიშვნელობისა ვერავის გაუგია. ამ სკოლის აგებამ მთელი სოფელი ვალსა და ვახშში ჩააგდო და მასწავლებელი კი არსად სჩანს. საჭიროა, მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მომავალ სამოსწავლო წლიდან მაინც დანიშნოს მასწავლებელი.

გ. ფანაველი.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

24 ივნისს საბჭოს სხდომა დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათზე ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

როგორც მოსალოდნელი იყო, სხდომას დიდ-ძალი გარეშე საზოგადოება დაესწრო, მაგრამ ხმოსნებმა ვერ გაამართლეს ეს მოლოდინი და მხოლოდ 23 კაცი გამოცხადდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ამ წელს გაშავებული ხმოსანი არამც თუ უკანასკნელ სხდომებს აღარ ესწრება, არამედ ჩამოსატარებელ სიასაც ხელს არ აწერს, „მომცილდით თავიდან, არ მოვდივარ და რას ჩამცივებიხართო“.

კრების დაწყებისათანავე წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა სხდომის ოქმი.

შემდეგ მოხსენდა საბჭოს წყლისაყვანის საქმის განსახილველად ამორჩეულ კომისიის აზრი. კომისიის მოხსენებაში ნათქვამია: რადგან პირობის ძალით კონტრაგენტი ვალდებულია წყლის მილის მთელს მანძილზედ აძლიოს ქალაქს წყალი, ამიტომ წყლისაყვანის სატეხნიკო პროექტმა უნდა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება. რაც შეეხება ამ მხრივ ამხანაგობისაგან სპეციალურ ხელშეკრულობის დადებას, ქალაქის გამგეობას ნება არა აქვს მოსთხოვოს ის კონტრაგენტს. ბოლოს კომისია საჭიროდ სცნობს დამტკიცდეს ამხანაგობისაგან წარმოდგენილი სატეხნიკო პროექტი იმ შეცვლითა და დამატებით, რაზედაც ამხანაგობამ უკვე თანხმობა განაცხადა, მხოლოდ ისე კი, რომ თუ ვინიცობაა, ამ პროექტმა ვერ დააკმაყოფილა ხელშეკრულობის პირობები, იმ შემთხვევაში ამხანაგობა იყოს პასუხის მგებელი. კომისიის მოხსენება ერთხმად მიიღეს.

საბჭოს წაუკითხეს თავ. პ. ა. თუმანიშვილის წინადადება: შუამდგომლობა იქმნეს აღძრული მთავრობის წინაშე, რომ რკინის გზის მეორე ლიანდაგი, რომელიც ეხლანდელ ლიანდაგს გასწვრივ უნდა გაჰყვეს, ყვირილის სადგურიდან გაყვანილ იქნეს პირდაპირ ქუთაისზე და აქედან ახალ-სენაკზე. ამითიო,—ამბობს ავტორი,—გზაც ძლიერ შემოკლდება და რკინის გზასაც ისე, როგორც მცხოვრებლებს, მეტი შემოსავალი ექნება, რადგან ეს ლიანდაგი მჭიდროდ დასახლებულ სოფლებზე გაივლისო. წინადადება ერთხმად მიიღეს და ამოარჩიეს დეპუტაცია უმაღლეს მავრობასთან საშუამდგომლოდ. არჩეულ იქნენ: ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, ფოთის ქალაქის თავი ნ. ი. ნიკოლაძე, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე თ. პ. ა. თუმანიშვილი და ქუთაისის უფროსი ნოტარიუსი გრ. გ. გამრეკელი.

კი არის. მართლაც, უნდა გამოვტყდე, სიმპატიით და თანაგრძნობით არ ვიხსენიებ ჩემ ნაწერში ჩვენებურ მევახშე სომხებს. აქ ბ-ნს იშხანიანს ხათრს არ გავუტეხ და დავეთანხმები, რომ ამგვარ სომხების თავს „სიძულვილს ვანთხევ“. მხოლოდ ბ-ნი იშხანიანი ამ სომხებს საერთოდ მთელ სომხობას უერთიანებს და მათ შორის სოლიდარულ კავშირს ამყარებს. ვსწუხვარ სწორედ მის მაგიერ. მე კი ფიქრად არ მომსვლია, რომ მთელი სომხის ხალხი ერთ დიდ მევახშეთა კრებულად დამესახა. არ ვიცი, ბ-ნი იშხანიანი გრძნობს თუ არა, რა ცუდ სამსახურს უწევს სომხობას თავისი დაცვით...

ბ-ნ იშხანიანს ჰსურს თავის მკითხველებს აფიქრებინოს, რომ „ქართველ ავტორს“ საზოგადოდ სომხებისადმი ეროვნულ სიძულვილის გამოცხადება უნდოდა და ამიტომ მოიხსენია სომეხ მევახშეთა ექსპლოატატორობა. რასაკვირველია, მან, ვითარცა თავისი ერის მეგობარმა და მოყვარემ, უნდა დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები და ქომაგობა გაუწიოს თავის ხალხს არა სასიამოვნო ბრალდებისაგან თავის დაცვაში. ამიტომ იმ კატეგორიის სომხებს, რომლებზედაც მე ვლაპარაკობ, იგი ეროვნულ ქოლგას აფარებს, თავისთან იერთებს და ეროვნულ სოლიდარობას უცხადებს.

მე მგონია, ასეთი ქცევით ბ-ნი იშხანიანი ძალიან ცუდ სამსახურს უწევს სომხობას. თუ მთელი სომხობის ინტერესები მხოლოდ თავისი „მე“-ს მაღმერთებელ და ხალხის მყვლეფავ გეშეფტმახერების ინტერესებთან არის შეკავშირებული, რაც მე არ მითქვამს და არც ახლა ვამბობ, იმ შემთხვევაში, ცხადია, სახელი უტყდება მთელ სომხობას და სიმპატია ეკარგება ყოველ ზნეობრივად განვითარებულ ადამიანის თვალში. ასევე თუ ბ-ნ იშხანიანს, როგორადაც ეტყობა, მევახშეების და ხალხის ექსპლოატატორების მოქმედება-ოინებზე ხელის დაფარება თავისი ერის დაცვად მიაჩნია, იმ შემთხვევაში მისი „ეროვნული მიმართულება“ ყოველ-გვარ მაღალ და ჰუმანურ იდეებს მოკლებულია და მარტო ერთ პარაზიტ კლასის ინტერესების დაცვას შეიცავს.

როგორც ვამჩნევ, ბ-ნ იშხანიანს ახირებულად ესმის როგორც ერი და ეროვნება, ისე ეროვნული პატივი და თავმოყვარეობა. აბა ვინ არ იცის, რომ ერს მარტო ერთი განსაზღვრული კლასი არ შეადგენს. და რაც შეეხება ეროვნულ თავმოყვარეობას, მგონია, ვერც ერთი სომეხი, რომელსაც საღი და გონიერი ეროვნული თავმოყვარეობა აქვს, ვერ ჩათვლის თავისი ერის შეურაცხყოფად იმ ფაქტის აღნუსხვას, რომ საქართველოში მევახშეობას ხშირად სომხები ეწევოდენ და დღესაც ეწევიან. ვთქვათ, რომელიმე სომეხმა დასწერა, რომ ქათველმა თავად-აზნაურობამ გაფლანგა თავისი ქონება და გალატაკების გზას დაადგაო. ნუთუ ეს ამბავი ეროვნულ შეურაცხყოფად უნდა მიიღოს ქართველმა? აბა რა კავშირი აქვს ეროვნებასთან სომეხ მევახშის ჰუჰყიან საქმიანობას და ან ქართველ თავადის ბედოვლათობას და უანგარიშობას?

მაგრამ ასეთი აზრის არაა ბ-ნი იშხანიანი. მისი შეხედულობით, სომხებში ყველაფერს კარგს უნდა ხედავდე და მაშინ ჩაითვლები მის მოყვარედ და მეგობრად; და თუ, ერთიც არის, რაიმე არა სიმპატიური მხარე შეამჩნიე, იგი მაშინვე დაუძინებელ მტერთა და მოძულეთა სიაში ჩაგწერს და სომხების მჭამელად გამოგაცხადებს. და, აი, მეც მოვხვდი მის სიაში. ღმერთმა კი იცის, ძალიან მინდა ბ-ნ იშხანიანს არ ვაწყენინო, მაგრამ ვერ მომიხერხებია. მე მევახშე და ექსპლოატატორი ქართველი არ მიყვარს და აბა სომეხი როგორ უნდა შევიყვარო.

როგორც ხედავთ, მეთოდი ბ-ნ იშხანიანისა მეტად მარტივი და ადვილი სახმარებელია. ამ მეთოდის მიხედვით ან მტრების სიაში მოყვებით, ან მოყვარებისაში და აღძრული კითხვის გარკვევაც ამითი სრულდება. საკმარისი ყოფილა, ბ-ნმა რეცენზენტმა მტრების რიცხვს გაკუთვნოს, რომ ყველაფერ თქვენ ნათქვამს ძალა და მნიშვნელობა დაეკარგოს. ამით ბ-ნი იშხანიანი ძალიან იადვილებს საქმეს. ამოსწერა რა ჩემი ნაწერიდან შესაფერი ადგილი, მხოლოდ შემდეგი სიტყვები დასძინა: აქედან „ცხადად სჩანს, თუ გერმანელი მგზავრი და ქართველი ავტორი რა ბრმა თვალით უყურებენ სინამდვილესო“. ე. ი. ბ-ნ იშხანიანის აზრით, მე მომიჭორებია ამბავი სომეხ მევახშეების შესახებ.

მაგრამ უბრალო უარის ყოფა ფაქტს ხომ ვერ გააქრობს. ქართლ-კახეთის გლეხობა აგერაა და ბ-ნ იშხანიანს, თუ უკვე გაგებული არა აქვს, ყოველთვის შეუძლია მათგან სინამდვილის გაგება...

არა, რა საჭიროა ასეთ აშკარა ფაქტზე ხელის დაფარება. ამით ფაქტი მაინც არ დაიმალება. თუ ჩვენში ხშირად მევახშეობას სომხები ეწევოდენ, ამის მიზეზი მათ გვარტომობაში არ იმალება. აქ არსებობდა განსაზღვრული ისტორიული პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო სომეხთა იმ გვარ „გეშეფტებს“. ისტორიულ პირობებშივე შემუშავდა სომხების ასეთი თუ ისეთი ხასიათი, ზნე და მიდრეკილებები. ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად არის და მისი უარის ყოფა ნიშნავს მხოლოდ ნებით თუ უნებლიეთ თვალის დახუჭვას და სინამდვილის არ დანახვას.

ამით მინდა ეს ბ-ნ იშხანიანის საპასუხო შენიშვნა გივათავო. კიდევ შეიძლებოდა ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ აღნიშნული სომხური რეცენზია არც იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ ღირდეს მის გამო წერილის გაჭიმვა და გაგრძელება. Ce serait trop d'honneur. სამაგიეროდ ეგევე არ ითქმის თვით საგანზე. ქართველ-სომხების ურთიერთობა ჩვენთვის ძალიან საინტერესო და საყურადღებოა. ამ საგანს როდისმე კიდევ დავუბრუნდებით და ვრცლად მოვილაპარაკებთ.

ფ. გოგიჩაიშვილი

შემდეგ ერთხმადვე მიიღეს ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის წინადადება, რომ ქალაქის საყასბოსთან სალორიაში გაკეთდეს რკინის გზის ბაქანი.

ამას მოჰყვა ორი უმნიშვნელო თხოვნა ორის კაცისა.

ბოლოს მხედველობაში მიღებულ იქმნა გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს აზრი ქუთაისის 1902 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შესახებ. **ამხანაგი**

წესდება

მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთა პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობისა

(გაგრძელება*)

V. წესი პენსიის და ერთ-დროებით შემწეობის თხოვნისა, დანიშვნისა და მიღებისა.

28) იმათ, ვისაც პენსიისა ან ერთ-დროებით შემწეობის მიღება სურთ, უნდა თხოვნა მიართვან საეპარქიო ეპისკოპოს.

შენიშვნა. თხოვნები მცირე-წლოვან ობლებისათვის პენსიებისა ან ერთ-დროებით შემწეობის დანიშვნის შესახებ უნდა შეიტანონ მზრუნველებმა ან ადგილობრივმა ბლაღოჩინებმა.

29) მღვდელ-მსახურთა და მედავითნეთ, შტატიდან წასვლის დროს, სამსახურიდან დასათხოვნ განცხადებაში უნდა აღნიშნონ თავიანთი უფლება პენსიის ან შემწეობის მიღებისა. უფლებს შემთხვევაში, პენსიის დანიშვნის შესახებ თხოვნის შესატანად ინიშნება სამის თვის ვადა. თუ თხოვნა ამ ვადას გადასცდა, პენსია ენიშნება მთხოვნელს იმ დღიდან, რა დღესაც თხოვნა იქმნება შეტანილი.

30) ვინც ვადას არ გადააცილებს, იმას პენსია დაენიშნება იმ დღიდან, რა დღესაც ჯამაგირი მოუსპო, ხოლო ვისაც ჯამაგირი არა ჰქონდა,—იმას დათხოვნის შესახებ ბრძანების მიღების დღიდან.

31) იმათ, ვინც სამსახურიდან დაითხოვეს სამართალში უფლის გამო და შემდეგ ან გაამართლეს ან დასაჯეს ისე კი, რომ პენსიის მიღების უფლება არ დაჰკარგეს, პენსიის მისაღებად თხოვნის შესატან ვადად ენიშნებათ ექვსი თვე. ეს ვადა ითვლება სასამართლოს განაჩენის გამოცხადების დღიდან.

32) ქვრივსა და ობლებს პენსია ენიშნებათ ქმრისა ან მამის გარდაცვალების დღიდან, თუ თხოვნა პენსიის შესახებ შეტანილ იქმნა ამ დღიდან ერთის წლის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პენსია თხოვნის შეტანის დღიდან ენიშნებათ.

შენიშვნა 1. იმ ქვრივებისა და ობლებისათვის, რომელნიც რუსეთს გარეშე სცხოვრობენ, თხოვნის შესატან ვადად ინიშნება ორი წელიწადი.

შენიშვნა 2. მცირე წლოვან უდედ-მამო ობლებს შეუძლიანთ პენსიის მიღება მამის სიკვდილის დღიდან, თუ როდესაც 16 წლისა შესრულდებიან, თვითონ არ გადააცდენენ მე-32 მუხლში აღნიშნულ ვადას თხოვნის შეტანისას.

33) თუ მღვდელ-მსახური ან მედავითნე, რომელმაც პენსია ან შემწეობა მოითხოვა, გარდაცვალა იმის მიღებამდე, კუთვნილ ფულს მიიღებს იმისი ოჯახი.

34) თხოვნები პენსიისა და შემწეობის შესახებ უნდა განიხილოს საეპარქიო მთავრობამ, რომელმაც, თუ სცნო თხოვნა სამართლიანად, წარდგენილობა უნდა გაუგზავნოს უწმ. სინოდს თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს ერთის თვის განმავლობაში.

35) წარდგენილობას უნდა თან ახლდეს: სინოდის მიერ დაწესებულ ფორმით შემდგარი სიაცნობებისა იმათ შესახებ, ვინც პენსიასა ან შემწეობას თხოულობს, და საბუთის ქაღალდები, საიდანაც უნდა სჩანდეს, რომ მთხოვნელს პენსიის მიღების უფლება აქვს; სახელდობრ: ა) ნამსახურობის ქაღალდი მთხოვნელისა, თუ პენსიას ან შემწეობას ქვრივ-ობლებისთვის თხოულობენ, მაშინ, ქმრის ან მამის ნამსახურობის ქაღალდს გარდა, უნდა იყოს მოწმობაც იმის გარდაცვალებისა და მოწმობა ბავშვების დაბადებისა და მონათვლისა; ბ) თუ თხოულობენ მცირე და არა სრულ სამსახურის პენსიას, მაშინ საჭირო მკურნალის მოწმობა, შედგენილი საზოგადო საპენსიო წესდების მე-160 და 161 მუხლების თანახმად (კანონთა კრებული, ტომი მე-III, გამოც. 1896 წლისა), და გ) თუ პენსიას თხოულობს გარდაცვლილ მღვდელ-მსახურისა და მედავითნის შვილი, რომელსაც ავადმყოფობით შრომა არ შეუძლიან, საჭიროა, მკურნალის მოწმობის გარდა, მოწმობა სრულ სიღარიბის შესახებაც. ასეთი მოწმობა უნდა მისცეს კრებულმა და შემამოწმოს ბლაღოჩინმა.

36. პენსიებსა და ერთ-დროებით შემწეობებს ჰნიშნავს უწმ. სინოდი; ფულის სახელმწიფო ხაზინიდან გადადების შესახებ უნდა ეცნობოს ფინანსთა მინისტრს.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესალ ნება-რთვაა საჭირო, ან საეჭვო რამეა, უწმ. სინოდი ნებას აძლევს ობერ-პროკურორს, ფინანსთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ, მინისტრთა კომიტეტის საშუალებით ნება-რთვა აიღოს პენსიისა ან ერთ-დროებით შემწეობის დანიშვნისა.

37. პენსიებისა და შემწეობათა მიღება შეიძლება იმ წესით, რა წესიც აღნიშნულია პენსიათა საზოგადო წესდებაში (კანონთა კრებული, ტომი მე-III, გამ. 1896 წ.) და ხაზინებისათვის გამოცემულ ინსტრუქციაში.

38) საპენსიო ფული, სრულად არ მიღებული პენსიის გარდაცვალებულ პატრონის მიერ, შეიძლება ფინანსთა მინისტრის კასსებიდან მიეცეს განსვენებულის ოჯახს (ქვრივსა და ობლებს), როდესაც იგი ოჯახი წარადგენს მოწმობას პენსიის პატრონის სამსახურისა და გარდაცვალების შესახებ.

39) თუ პენსიის პატრონი ორის წლის განმავლობაში არ გამოცხადდა პენსიის მისაღებად ან მოთხოვნილება არ გაგზავნა, პენსია ხარჯიდან ირიცხება გამოუქვეყნებლად; თუ შემდეგ პატრონმა ითხოვა პენსია, იგი მიეცემა იმ დროდან, რა დროსაც თხოვნა შეიტანა.

შენიშვნა. შუამდგომლობა, რომელშიაც თხოვნა იქმნება გაცდენილ პენსიის მიღებისა, უნდა წარუდგინოს ფინანსთა მინისტრს (საზოგადო საპენსიო წესდება, მუხლი მე-220, კანონთა კრებული, ტომი მე-III, გამოცემა 1896 წლისა).

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1850.

სასამართლო

I

შარობიძის საქმე

გუშინ, 27 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრებ მიხეილ შარობიძისა, რომელსაც ტფილისის მოქალაქის ალექსანდრე უორდანოვის გაძარცვა ჰბრალდებოდა. საქმე ასე მომხდარა. უორდანოვს ხარის ყიდვა ჰნდომებია დესიმონოვის მოედანზე და თან დაღალი შარობიძე წაუყვანია. რადგანაც ხარი ვერ უყიდნიათ, დუქანში შესულან და შემდეგ ეტლით ორთაჭალაში წასულან. ვორონცოვის ქუჩაზე, როგორც უორდანოვს განუცხადებია, შარობიძეს მისთვის ჯიბიდან ძალად 105 მან. ამოუცლია, გადმომხტარა ეტლიდან და გაქცეულა. უორდანოვი უკან გამოსდევნებია, მაგრამ ვეღარ დაუჭერია. მეორე დღეს შარობიძე დესიმონოვის მოედანზე უნახავს და პოლიციაში წაუყვანია, სადაც შარობიძე გამოტეხილა, ამასთან უორდანოვისათვის 40 მან. ფულად მიუცია და 60 მანეთის თამასუქი. საქმის გამოძიების დროს შარობიძეს თავი დამნაშავედ არ უცვნია და უთქვამს 40 მანეთი და 60 მან. თამასუქი იმიტომ მივეცი, რომ ჩემის სახელის შერცხვენა არ მინდოდა, თორემ იმისთვის მე არც ერთი კაპეიკიც არ წამირთმევიათ. გუშინ სასამართლომ დამნაშავედ იცნო შარობიძე და უორდანოვის გაძარცვისათვის მიუსაჯა სამის თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

II

სახელმწიფო ფულის გაფლანგვა

ტფილისის მაზრის უფროსის თავ. ჯანდიერის კანცელარიაში მისულა ურიადნიკი შერესნევი 1901 წ. 22 დეკემბერს და მიუღია 373 მან. 30 კაპ. ბოქაულის იოსელიანის გარდასაცემად დარაჯების ჯამაგირისათვის. კანცელარიაში შერესნევს დახვედრია „სტრაჟნიკი“ მ. პ. ლებედენკო, რომლისათვისაც გადაუცია მიღებული ფული და უთქვამს, იოსელიანს წაუღეო. მეორე დღეს ლებედენკოს დესიმონოვის ქუჩაზე შეხვედრია ამხანაგი, იმისთვის გადაუცია 172 მანეთი, ხელ-წერილი ჩამოურთმევია და უთქვამს, ეს ფული იოსელიანს წაუღეო; სხვა ფული ჩემს ნაცნობს სტაფილოვს მივაბარე და თან ჩამოვიტანო. შემდეგ გამოირკვა, რომ 194 მან. ლებედენკოს გაუფლანგავს. სახელმწიფო ფულის გაფლანგვისთვის პასუხის-გებაში მიცემული ლებედენკო გამოტეხილა.

ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ გუშინ, 27 ივნისს და ლებედენკოს მიუსაჯა ოთხის-თვით საპყრობილეში დაპატიმრება და გაფლანგულ ფულის გარდახდევინება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 **ივნისი**

ჰელსინგფორსი. ბუნების მკვლევართა და ექიმთა კრების მეორე საზოგადო სხდომა მოხდა. მოხსენებანი წაიკითხეს დანიის პროფესორმა ტილემ, ჰელსინგფორსის პროფესორმა ტიგერსტედმა და ნორვეგიისამ იოჰანსენმა. კრებაში მონაწილეობას იღებს რუსეთიდან 735 კაცი, მათ რიცხვში ფინლიანდიიდან 535-ია, დანიიდან 53, ნორვეგიიდან 156 და შვეციიდან—200.

ტამბოვი. ივნისის პირველს ნახევარში ტამბოვის მაზრაში სეტყვამ და წვიმებმა წაახდინა 5136 დესიატინა პურის ყანები, 217,000 მან. ღირებული.

ლონდონი. მეფის სიმრთელის უკეთესობა თან და-თან წინ მიდის; სძინავს კარგა; ძალა ემატება; ჭრილობა უხორცდება.

პეტერბურგი. გერმანიის იმპერატორის გიბორგის პოლკმა თავისი საპოლკო დღესასწაული გადაიხადა. საეკკლესიო პარადს დაესწრნენ გერმანიის ელჩი და საელჩოს მოხელენი. ელჩმა პოლკის სადღეგრძელო დალია.—ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ტრუბეცკოი დაინიშნა თანმხლებლად ღ.ღ. ჰერცოგ ოლდენბურგელთან, რომელიც 27 ივნისს უნდა მოვიდეს.

რომი. მეფე ვიქტორ-ემმანუილი პეტერბურგში მიმავალი გაივლის ვერონს, ინსბრუკს, მიუნხენს, გალლს, პოზნანსა და გუმბინენზე.

27 **ივნისი**

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება საგერბო გადასახადის წესდების ზოგიერთ დადგენილებათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

პორტ-არტური. ნახიმოვის დაბადებიდან ასის წლის შესრულების დღეს „ვარიაგის“ კრეისერზე პანაშვიდი იქმნა გადახდილი. შემდეგ საუზმე გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უფროსნი და ჩინეთში მყოფ საფრანგეთის ბრიგადის უფროსი გენერალი სიუსიდონი.

სალონიკი. შაბათიდან დაწყებული ყოველდღე მიწა იძვრის, მაგრამ ეხლა შესუსტდა. მცხოვრებნი დაბრუნდნენ. როდესაც სახლი დაიქცა, ორი ბავშვი დაიღუპა.

ლონდონი. დილას ჩემბერლენი სავაჭრო-მეურნეობიდან გამოვიდა და თავის ცოლთან ერთად შინ წავიდა ეტლით. თავი შეხვეული ჰქონდა და ქუდი არ ეხურა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) დამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) დამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) დამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37,50 ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	მ. კ.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები		— 50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო		1 —
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე		1 50
ი. ჭავჭავაძის I ტომი		— 70
იგივე II და III ტომი თითო		— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად.		— 80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა		— 10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.		— 40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.		— 60
რაფ. ერისთავის I ტომი		— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი		— 30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.		1 20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა		— 50
სიბრძნე ბალავარისა		— 30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში		— 15
დვინის დაუნება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა		1 50
რძე, მისივე		1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა		— 80
დასტურ-ლამა		— 20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა		— 50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.		— 20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

მაღაზია

ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა

ქ. ქუთაისში

გიმნაზიის და ალექსანდრის ქუჩების კუთხეში, ბუღაძის სახლში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის ჭურჭელი** სხვა-და-სხვა ჯრისტალის და შუშეულის ნაწარმები, ვერცხლის და საზღვარ-გარეთული რკინეულის სალემენტო ჭურჭეულობა უმაღლეს ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამზარეულო და ყოველ-გვარი სათუხაო კუთვნილებანი. შეთხოვის და ბრონზის ნაწარმოებნი. ვენის ღალოგიური ბამბუკის სახლის მორთულობანი. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სტოლის საათები. კლიონკები და ლინოლეუმები ჰოლანდიისა. რუსული და საზღვარ-გარეთული გიტარები, სკრიპკები და ცხრები ყოველ-გვარი. სავაჭრო კუთვნილებანი.

ყველაფერი იყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ.** (45—41)

Дозв. ценз. Тифлисъ, 27 Іюня 1902 г.